თამარ ორჯონიკიძე •

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის - ახალი რეალობა კავკასიაში

აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინის ომმა ახალი რეალობის წინაშე დააყენა როგორც ევროკავშირი, ისე კავკასიის სახელმწიფოები. ევროკავშირმა გაფართოების მიმართულებით გადადგა ნაბიჯები, მოლდოვასა და უკრაინას გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობა მიეცა, საქართველოს კი 2023 წლის დეკემბერში წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმა გარკვეულწილად შეცვალა რეალობა რეგიონშიც. სომხეთ - აზერბაიჯანის ომის და ზოგადად, ბოლო წლებში სომხეთში მიმდინარე პროცესების ფონზე, როდესაც ქვეყანა რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას ცდილობს, მისთვის საქართველო ევროპასთან დამაკავშირებელი გზა გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სომხეთის მომავალი საგარეო პოლიტიკა გარკვეულწილად საქართველოზეა დამოკიდებული.

ნაშრომში განხილულია ბოლო წლებში, სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემდეგ და საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პირობებში, სომხეთის პოზიციის ტრანსფორმაცია როგორც დასავლეთის, ასევე რუსეთის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: სომხეთი, საქართველო; ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი; კავკასია.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი.

კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის და სომხეთის ხელისუფლების პოზიცია

რეგიონში შექმნილი ახალი რეალობის შესახებ სომხეთის პრემიერმა, ფაშინიანმა 2024 წლის თებერვალში განაცხადა. მისი თქმით, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება დადებითი მოვლენაა და ის ცვლის „რეგიონის საერთო ატმოსფეროს“ (რუხაძე, 2024). აღნიშნული განცხადება ფაშინიანმა პარლამენტში გამოსვლისას გააკეთა. მისივე თქმით, რეგიონის ორი სახელმწიფოს (თურქეთისა და საქართველოს) ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა სამხრეთ კავკასიის რეგიონზეც აისახება - „თუ ადრე შეგვეძლო გვეთქვა, სად არის ევროკავშირი და სად ჩვენი რეგიონი? ახლა ფაქტობრივად ევროკავშირი - ეს ჩვენი რეგიონია“ (ბერიძე, 2024).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2023 წლის ოქტომბერში, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე, ფაშინიანმა ევროპარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ შესაძლებელია „სომხეთი ახლოს იყოს ევროკავშირთან იმდენად, რამდენადაც ევროკავშირი ამას საჭიროდ ჩათვლის“ (ინტერპრესნიუსი, 2023).

რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2023 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მიულოცა და აღნიშნა, რომ „ორი ქვეყნის თანამშრომლობის წყალობით საქართველომ და აზერბაიჯანმა შეძლეს, წარმოეჩინათ საკუთარი თავი - როგორც ერთიანი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გუნდი ევროპაში“; მას ასევე „სრულად ესმის საქართველოს სურვილი, გაწევრიანდეს ევროკავშირში და წარმატებას უსურვებს ამ მიმართულებით“ (ახალაია, 2023).

ევროკავშირთან დაახლოების სურვილი გამოთქვა სომხეთს პარლამენტის სპიკერმაც. ალენ სიმონიანის განცხადებით, სომ-

ხეთში დემოკრატიის უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში; მისივე თქმით, „სომხეთი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაზე უნდა დაფიქრდეს“. სპიკერის განცხადებით, რუსეთი სომხეთს უსაფრთხოების თვალსაზრისით არ ეხმარება და არ გამოირიცხება კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან გამოსვლაც, რადგან „ეს საზოგადოების მოთხოვნას წარმოადგენს“ (ტაბულა, 2024).

სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ხელშეკრულებიდან გასასვლელად ემზადება

აზერბაიჯანთან დაპირისპირების და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, სომხეთის მიერ საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილების შესახებ მოსაზრებას ამყარებს 2024 წლის თებერვალში პრემიერ ფაშინიანის განცხადებაც იმის შესახებ, რომ სომხეთმა შეაჩერა მონაწილეობა რუსეთის მიერ შექმნილ „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში“ (ОДКБ). მისი თქმით, ორგანიზაციამ უმოქმედობა გამოიჩინა მაშინ (2021-2022 წ.წ.), როდესაც სომხეთს დახმარება სჭირდებოდა, რაც უპასუხოდ ვერ დარჩებოდა (ტაბულა, 2024). თუმცა აქვე აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ სომხეთში არსებული რუსული, 102-ე ბაზის[1] დახურვა, არ განიხილება.

ОДКБ-ზე უარის თქმა სომხეთის მხრიდან სპონტანური გადაწყვეტილება არ არის. ის ბოლო წლების მანძილზე მწიფდებოდა რუსეთის მიმართ იმედგაცრუების ფონზე. რუსეთის არასაიმედო მოკავშირეობაზე საუბრისას, ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის საკითხის სამხედრო

[1] 1995 წელს მოსკოვსა და ერევანს შორის დადებული შეთანხმებით გიუმრიში რუსული ბაზა მოქმედებს. 2010 წელს მხარეებმა შეთანხმება 2044 წლამდე გაახანგრძლივეს.

გზით გადაჭრის პროცესში სომხეთმა ვერ მიიღო რუსეთის მხარდაჭერა ვერცერთ ეტაპზე.

2024 წლის თებერვალში ფაშინიანმა განაცხადა, რომ სომხეთი გაყინავდა ურთიერთობებს ОДКБ-სთან. თავიდან სომხეთი ბოიკოტს უცხადებდა ОДКБ-ს და არ მონაწილეობდა შეხვედრებში, სამხედრო სწავლებებსა და ბლოკის ფარგლებში ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში. 2024 წლის აპრილში, ბრიტანულ მედიასთან ინტერვიუში, ფაშინიანმა განაცხადა, რომ არა აქვს პასუხი საზოგადოების მიერ დასმულ შეკითხვაზე - რატომ რჩება სომხეთი ОДКБ-ში. 2024 წლის 8 მაისს სომხეთის ხელიუფლებამ გამოაცხადა, რომ შეწყვეტს ფინანსურ მონაწილეობას ОДКБ-ში (კუნჭულია, 2024).

12 ივნისს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ოპოზიციონერი დეპუტატის შენიშვნის საპასუხოდ, თუ კრიტიკის მიუხედავად სომხეთი რატომ არ ტოვებს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას, განაცხადა, რომ სომხეთის ხელისუფლება ამ ნაბიჯს მაშინ გადადგამს, როდესაც საჭიროდ ჩათვლის (ჩიჩუა, 2024). კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა სომხეთი და არცახი (ყარაბაღი) ფაშინიანი რომ ხელისუფლებაში არ ყოფილიყო, პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ იმავე მდგომარეობაში (ანუ ტერიტორიას დაკარგავდა) და გარდა ამისა, სომხეთი რუსეთის გუბერნიად გადაიქცეოდა.

ერევანში გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ, მოსკოვი იმედოვნებს, რომ სომხეთი არ გავა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან. 13 ივნისს რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ მოსკოვი გააგრძელებს სომხეთთან მუშაობას კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებით ერევნის პოზიციის გასარკვევად და მოელის, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობები პარტნიორობისა და ალიანსის სახით გაგრძელდება (ბერიძე,

2024). თუ სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ხელშეკრულებიდან გავა, ეს იქნება არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი სომხეთის რუსეთისაგან დისტანცირებაში, არამედ შეამცირებს ვლადიმერ პუტინის ავტორიტეტს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

22 მაისს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ხელშეკრულების მინიმუმ ორი წევრი ქვეყანა მონაწილეობდა სომხეთის წინააღმდეგ 44-დღიანი ომის მომზადების პროცესში (ბერიძე, 2024). ეს ორი ქვეყანა სომხეთის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირედ მიჩნეული რუსეთი და ბელარუსია. ჯერ კიდევ 2013 წელს შეიარაღების მიწოდებაზე მოსკოვსა და ბაქოს შორის მსხვილი შეთანხმება გაფორმდა. თუმცა რუსეთის მიმართ გაკეთებულ განცხადებებში სომხეთის ხელისუფლება მაინც ფრთხილობს, სომხეთსა და ბელარუსს შორის კი ნამდვილი სკანდალი გაიშალა.

ჟურნალმა POLITICO-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბელარუსი, რომელიც სომხეთის მსგავსად კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრია და წესით სომხეთის მხარდაჭერა ევალებოდა, 2018-2022 წლებში შეიარაღებას აწვდიდა აზერბაიჯანს, რამაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანს უპირატესობა მიანიჭა. ბელარუსის მიერ აზერბაიჯანისათვის გადაცემულ იარაღს შორისაა დრონის სისტემები, მოძველებული არტილერიის მოდერნიზებისთვის საჭირო მასალები და სხვა ტიპის ელექტრონული მოწყობილობები. მიღებული შეიარაღება აზერბაიჯანმა ბოლო წლებში საბრძოლო მოქმედებებში არაერთხელ გამოიყენა (ბოგვერაძე, 2024).

13 ივნისს, სომხეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ მანამ, სანამ ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკოა, მინსკში ჩასვლას არ აპირებს. ფაშინიანმა განაცხადა, რომ ლუკაშენკომ ბაქოში ვიზიტის დროს ღიად დაადასტურა, რომ მონაწილეობას იღებდა

ომის მომზადებაში და მხარს უჭერდა აზერბაიჯანის გამარჯვებას. „ამის შემდეგ ბლოკის ფორმატში რაიმე განხილვაში უნდა მივიღო მონაწილეობა? ვაცხადებ, რომ აღარასოდეს ჩავალ ბელარუსში, სანამ ლუკაშენკო ქვეყნის პრეზიდენტია და ვაცხადებ, რომ სომხეთის არცერთი ოფიციალური წარმომადგენელი ბელარუსში არ გაემგზავრება“, - თქვა ფაშინიანმა (ბოგვერაძე, 2024). ამ სკანდალის შემდეგ სომხეთმა და ბელარუსმა მინსკსა და ერევანში თავიანთი ელჩები კონსულტაციებისათვის გაიწვიეს.

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორმა, გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა, ვახტანგ კაპანაძემ აღნიშნა, რომ ОДКБ-დან სომხეთის გასვლა რუსეთთან დაშორების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, რაც უდავოდ შეასუსტებს რუსეთის გავლენას რეგიონში, მაგრამ ამით ძალთა ბალანსი ვერ შეიცვლება, სანამ სომხეთის ქალაქ გიუმრში დარჩება რუსული სამხედრო ბაზა (კუნჭულია, 2024).

გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორიც. რიგი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან სომხეთის გასვლა უკვე აღარავის აშინებს, მათ შორის იმიტომაც, რომ ამ ბლოკს მოსკოვი აღარ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ პროექტად. სავარაუდოდ ამით აიხსნება ამ მიმართულებით ფაშინიანის მამაცობა. რუსეთთან სხვა ინტეგრაციულ პროექტებთან დაკავშირებით, სადაც სომხეთი ეკონომიკურ სარგებელს იღებს, ერევანი უფრო ფრთხილია (დუბნოვი, 2024).

სომხეთის დასავლეთთან დაახლოების პროცესი

2024 წლის პირველ აპრილს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, არარატ მირზოიანის განცხადება გავრცელდა იმის შესახებ, რომ „სომხეთი ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ მიისწრაფვის“. აქვე მინისტრმა ხაზი გაუსვა ევროკავშირის სამშვიდობო მისიის ყოფნის დადებით გავლენას

ქვეყანასა და ზოგადად რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთში მიიჩნევენ, რომ რუსეთმა ისინი მიატოვა აზერბაიჯანთან ომისას, ევროკავშირის სამშვიდობო მისიის დადებითი ფაქტორი რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ერევანს უბიძგებს მეტი თანამშრომლობისაკენ დასავლეთთან. როგორც მირზოიანმა განაცხადა, ერევანი აღრმავებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ვაშინგტონსა და ბრიუსელთან, ვინაიდან სომხეთის უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარებისათვის „დასავლეთში კარგი პარტნიორები არიან“ (ამბები.ge, 2024).

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 5 აპრილს სომხეთის პრემიერი ბრიუსელში შეხვდა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენსა და აშშ სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს. აღნიშნული რუსეთის შეშფოთებას იწვევდა, რადგან როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა, მარია ზახაროვამ განცხადა, „ბრიუსელი და ვაშინგტონი ღიად საუბრობდნენ შეხვედრის ანტირუსულ ორიენტაციაზე“ (ამბები.ge, 2024). ზახაროვასვე განცხადებით, „საბოლოოდ მთელი მსოფლიოს თვალწინ სომხეთს გადააქცევენ კოლექტიური დასავლეთის უკიდურესად საშიში გეგმების განხორციელების ინსტრუმენტად, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება სომეხი ხალხის ფუნდამენტურ ინტერესებს“ (ჩაჩანიძე, 2024).

ბრალდებაზე საპასუხოდ, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ბრიუსელში დაგეგმილი მაღალი დონის შეხვედრა მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას ეძღვნებოდა და არ იყო მიმართული რომელიმე მესამე მხარის წინააღმდეგ (ინტერპრესნიუსი, 2024). შეხვედრას ასევე გამოეხმაურა აზერბაიჯანიც, რომელმაც აშშ-სა და ევროკავშირს მოუწოდა „თავი შეიკავონ ისეთი ნაბიჯებისაგან, რომლებიც რეგიონში დესტაბილიზაციას გამოიწვევს“. განცხადება გაავრცელა აგრეთვე თურ-

ქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, სადაც მითითებული იყო, რომ 2024 წლის 5 აპრილის სამმხრივი შეხვედრა დააზარალებდა ნეიტრალიტეტის მიდგომას, რომელიც საფუძველი უნდა გახდარიყო რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის; აზერბაიჯანის გამორიცხვა კი გზას გაუხსნიდა სამხრეთ კავკასიის გადაქცევას გეოპოლიტიკური კონფლიქტის ზონად (თურქეთის ტელე-რადიო მაუწყებლობა, 2024).

ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც ზემოთაღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით გაიმართა, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განახადა, რომ მიესალმება სომხეთის მიერ განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებს, რომლებიც ქვეყანამ „არსებული გამოწვევების მიუხედავად“ განახორციელა; აღნიშნა აგრეთვე, რომ მოხარულია, რომ სომხეთმა მიიღო ზომები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციებისთვის გვერდის ავლას აღკვეთს. ეს აჩვენებს, რომ „ევროკავშირსა და სომხეთს მზარდი თანხვედრა აქვთ ღირებულებებსა და ინტერესებში“ (ინტერპრესნიუსი, 2024).

პრესკონფერენციაზე აგრეთვე განაცხადეს, რომ ევროკავშირი სომხეთს 270 მილიონი ევროს დახმარებას გამოუყოფს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იმისათვის, რომ სომხეთის ეკონომიკა და საზოგადოება უფრო ძლიერი და შოკებისადმი გამძლე გახდეს. ევროკავშირს არ ჩამორჩა აშშ-ც. სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ 2024 წელს აშშ ზრდის თავის ეკომიკურ მხარდაჭერას ერევნისათვის 65 მილიონ დოლარამდე (ჩიჩუა, 2024).

2024 წლის ივნისში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯეიმს ობრაიენმა ერევანში განაცხადა, რომ აშშ ხედავს სომხეთთან ორმხრივი ვაჭრობის გაფართოებისა და სომხეთის წილის გაზრდის შესაძლებლობას მსოფლიო სავაჭრო ბაზარზე (ბერიძე, 2024).

სომხეთის როგორც დასავლეთისკენ მიმავალი ქვეყნის გამოხატულება გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის ომისადმი დამოკიდებულების შეცვლაშიც. უკრაინაში რუსეთის შეჭრის დასაწყისში ერევანი ხაზს უსვამდა საკუთარ ნეიტრალიტეტს, ინარჩუნებდა კიევისადმი კორექტულობას და სარგებელს იღებდა რუსეთთან ვაჭრობის გაზრდის ახალი შესაძლებლობებიდან. დროთა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა და ერევანმა დაიწყო კიევისადმი მეტი სიმპათიის გამოხატვა.

ჯერ კიდევ აპრილში ევროპარლამენტის 24 წევრისგან შემდგარმა ჯგუფმა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს მოუწოდა, რომ უზრუნველყონ სომხეთის უსაფრთხოება, „რომელსაც აზერბაიჯანი უქმნის საფრთხეს“ (ბერიძე, 2024).

გარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა, სომხეთი დასავლეთთან სამხედრო თანამშრომლობასაც ავითარებს. სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 15-24 ივლისს სომხეთში სომხეთ-ამერიკული ერთობლივი სამხედრო წვრთნები EAGLE PARTNER 2024 ჩატარდება. ასეთი წვრთნები სომხეთში 2023 წელსაც ჩატარდა. წვრთნები სამშვიდობო მისიის დროს კონფლიქტურ მხარეებს შორის სტაბილიზაციის ამოცანებს ეხება. აღსანიშნავია, რომ სომხეთისგან განსხვავებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაურკვეველი ვადით გადადო საქართველოში 25 ივლისი - 6 აგვისტოს შუალედში დაგეგმილი ერთობლივი სამხედრო წვრთნა „ღირსეული პარტნიორი“. როგორც აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს ორმხრივი ურთიერთობების გადახედვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში (ცქიფურიშვილი, 2024).

18 ივნისს საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ოფიციალურმა ერევანმა და პარიზმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სომხეთისათვის „კეისრის“ ტიპის თვითმავალი

საარტილერიო სისტემების მიწოდების თაობაზე. დოკუმენტს ხელი მოეწერა სომხეთის თავდაცვის მინისტრის საფრანგეთში ვიზიტის დროს. საფრანგეთსა და სომხეთს შორის დადებულ სამხედრო შეთანხმებას მწვავე რეაქცია მოჰყვა აზერბაიჯანის მხრიდან. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, საფრანგეთი ხელს უშლის ბაქოსა და ერევანს შორის ურთიერთობის ნორმალიზებას და წინაპირობებს ქმნის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციისათვის. „ჩვენ ვაცხადებთ, რომ სომხეთის ხელმძღვანელობას, რომელიც ატარებს რევანშისტულ პოლიტიკას და ემხრობა მაკრონის დიქტატურას, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სამხრეთ კავკასიის რეგიონში სიტუაციის გამწვავებასა და ომის ახალი კერის გაჩენაზე“, - ნათქვამია განცხადებაში (ბერიძე, 2024).

სომხეთი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს

23 აპრილიდან ერევანში საპროტესტო აქციები დაიწყო ნიკოლ ფაშინიანის პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით, რის მიზეზადაც მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისთვის დათმობა და აზერბაიჯანთან საზღვრის დემარკაცია სახელდებოდა, რასაც ასევე გარკვეული ტერიტორიული დათმობები მოსდევს. ცხადია, რომ ამ საპროტესტო აქციების წარმატება სომხეთში პრორუსული ძალების გამარჯვება იქნება. აზერბაიჯანთან განცდილი მარცხის შემდეგ ფაშინიანს წარმატების ახალი პერსპექტივის ჩვენება სჭირდება.

მთიანი ყარაბაღის დაკარგვა და რუსეთისგან დისტანცირების სურვილი ბევრად განაპირობებს სომხეთის პოლიტიკის ახალ მიმართულებას - თავად დააყენოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი. 29 თებერვალს სომხეთის პარლამენტის სპიკერმა ალენ სიმონიანმა თქვა, რომ რუსეთი მათ უსაფრთხოების თვალსაზრისით

არ ეხმარება და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაზე უნდა დაფიქრდნენ (ტაბულა, 2024).

სომხეთში ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ მიმართა პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს სახალხო რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, რომელშიც მოქალაქეებმა პასუხი უნდა გასცენ შეკითხვას - უნდათ თუ არა ევროკავშირში გაწევრიანება. მათ ასევე გამართეს მოსმენები პარლამენტში პროდასავლური პოლიტიკური ძალების მონაწილეობით. ამ ინიციატივის ერთ-ერთმა ლიდერმა პარლამენტის ტრიბუნაზე ევროკავშირის დროშაც დაკიდა (ბერიძე, 2024).

სომხეთის პარლამენტში გამართული ამ დისკუსიიდან რამ-დენიმე დღის შემდეგ სომხეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდო-მარემ ალენ სიმონიანმა ლატვიაში ვიზიტის დროს ტელეარხ LSM.Iv-თან ინტერვიუში უკვე თავდაჯერებით განაცხადა, რომ სომხეთის საზოგადოებას უკვე გადაწყვეტილი აქვს გახდეს ევრო-კავშირის ნაწილი და ამისათვის „სომხეთმა შესაძლოა უახლოეს მომავალში წამოჭრას რეფერენდუმის ჩატარების საკითხი ევროკავ-შირში გაწევრიანების შესაძლებლობის შესახებ“ (ბერიძე, 2024).

2024 წლის 13 მარტს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ევროკავშირში სომხეთის გაწევრიანებას უჭერს მხარს. ეს დოკუმენტი ევროპის სახალხო პარტიის ავტორობით შეიქმნა და ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი. ევროპარლამენტარებმა ევროკავ-შირს მოუწოდეს, შესაძლო კანდიდატობის გზაზე სომხეთს მხარი დაუჭირონ. „თუ სომხეთი დაინტერესებულია კანდიდატის სტა-ტუსის მოპოვებით და გააგრძელებს მდგრადი რეფორმების გზას, რომელიც გააძლიერებს მის დემოკრატიას, ეს შეიძლება გახდეს ევროკავშირი - სომხეთის ურთიერთობების ტრანსფორმაციის სა-ფუძველი“, - ნათქვამია რეზოლუციაში (ტაბულა, 2024).

ევროკავშირში სომხეთის გაწევრიანებისკენ სწრაფვას, ცხა-დია, სრულად იზიარებს ნიკოლ ფაშინიანი. 2024 წლის მაისში

კოპენჰაგენის დემოკრატიის სამიტის ფარგლებში მოდერატორის კითხვაზე, რომელ წელს ისურვებდა, რომ სომხეთის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრი გამხდარიყო, სომხეთის პრემიერმა ნახევრად ხუმრობით უპასუხა – "წელსვე" (ბერიძე, 2024).

სომხეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში ჯერ არ დგას, მაგრამ ევროკავშირი სომხეთის რესპუბლიკასთან მუშაობას იწყებს უვიზო რეჟიმის შემოღებაზე. ინფორმაცია ამის შესახებ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არარატ მირზოიანმა გაავრცელა. მისივე თქმით, აღნიშნული მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და სომხეთს შორის პარტნიორობის გასამყარებლად, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და პრინციპებს. ეს არ არის ხანმოკლე პროცესი. როგორც წესი, მოლაპარაკებები უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით რამდენიმე წელი გრძელდება.

ევროკავშირის გარდა, სომხეთმა გააქტიურა კონტაქტები ნატოსთანაც. ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ხავიერ კოლომინამ არაერთხელ შეაქო სომხეთი საგარეო პოლიტიკის გადახედვისა და ნატოსკენ გადადგმული ნაბიჯების გამო. ეს მოსკოვის უკმაყოფილებას იწვევს და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ სომხეთის ნატოსთან დაახლოება რეგიონში მხოლოდ მეტ დაძაბულობას შეიტანს (კუნჭულია, 2024).

დასკვნა

სომხეთი მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში თავის უსაფრთხოების გარანტად რუსეთს მიიჩნევდა. თვლიდა, რომ რუსეთთან კავშირი იყო გარანტია აზერბაიჯანთან ომში გამარჯვებულის სტატუსის და მთიანი ყარაბაღის შენარჩუნების საქმეში. ამავე დროს სომხეთი აცხადებდა, რომ საგარეო პოლიტიკაში ატარებს ე. წ, „კომპლემენტარიზმის“ (მრავალვექტორულობის) კურსს და მონდომებით ცდილობდა ევროკავშირთან ასოცირების

შეთანხმების გასაფორმებლად საჭირო პირობების შესრულებას. თუმცა, 2013 წელს საკმარისი იყო კრემლიდან თითის დაქნევა, რომ სომხეთმა უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე.

რამდენიმე წელიწადში ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიჩნევა სომხეთის უსაფრთხოების გარანტად მითი იყო. აზერბაიჯანმა 2020 და 2023 წლებში სომხეთი ომში დაამარცხა და ყარაბაღის ტერიტორია მთლიანად დაიკავა. სომხეთის სტრატეგიულ პარტნიორად მიჩნეულმა რუსეთმა კი კონფლიქტში სომხეთის სასარგებლოდ ჩარევისგან თავი შეიკავა.

სწორედ მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანთან ომში განცდილი მარცხის შემდეგ დაიწყო დასავლეთთან და პირველ რიგში ევროკავშირთან სომხეთის პარტნიორობის გაძლიერება. პირველ რიგში სომხეთისათვის ესაა რუსეთისგან განდგომის სტრატეგია და მისი ერთ-ერთი ინსტრუმენტი; ფაშინიანის ხელისუფლებისთვის დასავლეთთან დაახლოება არის ქვეყნის შიგნით პოზიციების შენარჩუნების გზა, პრორუსულ ოპოზიციასთან დაპირისპირების დროს.

ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკის გატარებისას სომხეთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რადგანაც ეს მეტ დამაჯერებლობას სძენდა სომხეთის პოლიტიკას ევროკავშირთან მიმართებაში და იგივე სტატუსის მიღების პერსპექტივას.

თუმცა, როგორც რიგი ექსპერტები აღნიშნავენ, სომხეთის დასავლეთზე ორიენტაცია წინააღმდეგობრივია. ცხადი არ არის პასუხი კითხვაზე თუ რა არის ვესტერნიზაციის პირველადი მიზანი: რუსეთისგან დისტანცირება თუ სწორედაც დასავლური ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. საჭიროა არა მხოლოდ დასავლეთთან დაახლოების განცხადებები, არამედ ადმინისტრაციული, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარება. მხოლოდ ეს დაარწმუნებს დასავლეთს, რომ სომხეთი მართლაც

ცდილობს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ გადაქცევას. ჯერჯერობით კი სომხეთი დასავლეთისგან იღებს მხარდაჭერის იმ დოზას, რომელიც მას სჭირდება რუსეთისგან დაშორების თემაზე შიდაპოლიტიკურ პოლემიკაში.

სომხეთი მოსკოვისგან დისტანცირების პოლიტიკის გატარების დროს არ ჩქარობს ე. წ, „წითელი ხაზების“ გადაკვეთას და ინარჩუნებს რუსეთთან ყველა იმ კავშირს, რაც ეკონომიკურად მნიშვნელოვანი და სარგებლის მომტანია. დასავლეთისკენ სწრაფვის მიუხედავად, სომხეთი რჩება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრად და იქიდან გამოსვლის საკითხს არ აყენებს. ეს გასაგებიცაა, სომხეთის ეკონომიკა, თითქმის სრულად, რუსეთზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, რუსეთიც, რომელიც უკრაინასთან ომით არის დაკავებული, გარკვეულწილად ურიგდება სომხეთის ხელისუფლების პოლიტიკაში გაჩენილ პროდასავლურ კურსს და თვალს ადევნებს ფაშინიანის მოწინააღმდეგე ოპოზიციის აქტიურობასაც.

Tamar Orjonikidze

Status of EU Membership Candidate for Georgia - a New Reality in the Caucasus

Abstract

The Russian-Ukrainian war has put both the European Union and the Caucasus states in a new reality. The European Union took steps towards enlargement, Moldova and Ukraine were given the opportunity to start accession negotiations, and Georgia received candidate status for membership in December 2023. Georgia's EU candidate status has also somewhat changed the reality in the region. Against the background of the war with Azerbaijan and, in general, the processes taking place in Armenia in recent years, when the country is trying to reduce its

dependence on Russia, Georgia has become a link with Europe. This means that the future foreign policy of Armenia depends on Georgia to some extent.

The article discusses the transformation of Armenia's positions both, towards the West, as well as towards Russia, aftermath of the Armenian-Azerbaijanian conflict and following to the developments of granting the EU candidate status to Georgia.

Keywords: Armenia, Georgia; EU membership candidate status; Caucasus; A new reality.

გამოყენებული ლიტერატურა

- ამბები.ge (1 აპრილი, 2024). *სომხეთი ბრიუსელთან და ვაშინგტონთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე საუბრობს - რუსეთს ეს აშფოთებს.* https://www.ambebi.ge/article/307711-somxeti-briuseltan-da-vashingtontan-ekonomikuri-da/
- ახალაია, ლ. (6 დეკემბერი, 2023). პირველი არხი. *ილჰამ ალიევი - აზერბაიჯანი და საქართველო ევროპაში ერთიანი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გუნდია.* https://1tv.ge/news/ilham-alievi-azerbaijani-da-saqartvelo-evropashi-ertiani-strategiulad-mnishvnelovani-gundia/
- ბერიძე, ნ. (2 თებერვალი, 2024). სომხეთის დიდი მოტრიალება? - ფაშინიანი უკვე ღიად აცხადებს, რომ საგარეო ვექტორს ცვლის და დასავლეთისკენ იღებს გეზს - https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=8&id_artc=198176
- ბერიძე, ნ. (8 თებერვალი, 2024). რეზონანსი. *ფაშინიანი ამბობს, რომ რეგიონში მდგომარეობა შეიცვალა - „სომხეთს სურს, რომ საქართველო იყოს მისი ლოკომოტივი*

ევროკავშირში შესასვლელად“. - https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=198570

- ბერიძე მ. (9 აპრილი, 2024). ნეტგაზეთი. 24 ევროპარლამენტარი EU-სა და აშშ-ს სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ მოუწოდებს - https://netgazeti.ge/news/717366/
- ბერიძე მ. (15 მაისი, 2024). ნეტგაზეთი. ფაშინიანმა სომხეთის ევროკავშირის წევრობა 2024 წელს ისურვა - https://netgazeti.ge/news/722683/
- ბერიძე მ. (23 მაისი, 2024). ნეტგაზეთი. ფაშინიანის თქმით, სომხეთის წინააღმდეგ ომის მომზადებაში ОДКБ-ს სულ მცირე ორი ქვეყანა მონაწილეობდა - https://netgazeti.ge/news/723777/
- ბერიძე, მ. (11 ივნისი, 2024). ნეტგაზეთი. ჩვენ ვხედავთ სომხეთთან ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობას - ობრაიენი - https://netgazeti.ge/news/726736/
- ბერიძე, მ. (13 ივნისი, 2024) ნეტგაზეთი. მოსკოვი იმედივნებს, რომ სომხეთი ОДКБ-დან არ გავა - https://netgazeti.ge/news/727115/
- ბერიძე მ. (19 ივნისი, 2024). ნეტგაზეთი. „მაკრონის რეჟიმი ხელს უშლის ბაქოსა და ერევანს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას“ - ბაქო - https://netgazeti.ge/news/727679/
- ბერიძე, მ. (27 ივნისი, 2024). ნეტგაზეთი. სომხეთმა შესაძლოა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ რეფერენდუმი ჩაატაროს - https://netgazeti.ge/news/729225/
- ბოგვერაძე მ. (14 ივნისი, 2024). დაძაბულობა სომხეთსა და ბელარუსს შორის, მხარეებმა ელჩები კონსულტაციისთვის გაიწვიეს - https://netgazeti.ge/news/727263/

- ბოგვერაძე მ. (14 ივნისი, 2024). POLITICO: ბელარუსი, რომელიც ОДКБ-ში სომხეთის მოკავშირეა, აზერბაიჯანს იარაღს აწვდიდა - https://netgazeti.ge/news/727188/
- დუბნოვი ვ. (21 მაისი, 2024), ნეტგაზეთი. პაუზა მოსკოვსა და ერევანს შორის - სარგებელი ერევნისთვის - https://netgazeti.ge/news/723182/
- დუბნოვი ვ. (10 ივლისი, 2024), ნეტგაზეთი. სომხეთი დასავლეთსა და რუსეთს შორის - https://netgazeti.ge/south_caucasus/730482/
- თურქეთის ტელე-რადიო მაუწყებლობა (5 აპრილი, 2024). *თურქეთმა სომხეთ-აშშ-ევროკავშირის შეხვედრაზე განცხადება გააკეთა* https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2024/04/05/t-urk-et-ma-somxet-ashsh-evrokavshiris-shexvedraze-ganc-xadeba-gaaket-a-2125063
- ინტერპრესნიუსი (17 ოქტომბერი, 2023). *ნიკოლ ფაშინიანი აცხადებს, რომ სომხეთი მზადაა წლის ბოლომდე აზერბაიჯანთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი, ასევე, ახლოს იყოს ევროკავშირთან „იმდენად, რამდენადაც ევროკავშირი შესაძლოდ ჩათვლის“.* https://www.interpressnews.ge/ka/article/774008-nikol-pashiniani-acxadebs-rom-somxeti-mzadaa-clis-bolomde-azerbaijantan-samshvidobo-xelshekrulebas-moaceros-xeli-aseve-axlos-iqos-evrokavshirtan-imdenad-ramdenadac-evrokavshiri-shesazlod-chatvlis/
- ინტერპრესნიუსი (28 მარტი, 2024). *სომხეთის საგარეო უწყება - სომხეთი-ევროკავშრი-აშშ-ის შეხვედრა არ არის და არ შეიძლება იყოს რომელიმე მესამე მხარის წინააღმდეგ.* https://www.interpressnews.ge/ka/article/793020-somxetis-sagareo-ucqeba-somxeti-evrokavshiri-ashsh-is-shexvedra-ar-aris-

da-ar-sheizleba-iqos-mimartuli-romelime-mesame-mxaris-cinaagmdeg/

- ინტერპრესნიუსი (5 აპრილი, 2024). *ევროკომისიის პრეზიდენტი - ევროკავშირი სომხეთს შემდეგი 4 წლის განმავლობაში 270 მილიონ ევროს გამოუყოფს - ევროკავშირსა და სომხეთს მზარდი თანხვედრა აქვთ ღირებულებებსა და ინტერესებში* *https://www.interpressnews.ge/ka/article/794106-evrokomisiis-prezidenti-evrokavshiri-somxets-shemdegi-4-clis-ganmavlobashi-270-milion-evros-gamouqops-evrokavshirsa-da-somxets-mzardi-tanxvedra-akvt-girebulebebsa-da-interesebshi/*
- კუნჭულია, ლ. (13 ივნისი, 2024). რადიო თავისუფლება. რუსეთთან დაშორება, დასავლეთთან დაახლოება და საპროტესტო აქციები სომხეთში - https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
- რუხაძე, თ. (12 თებერვალი, 2024). პირველი არხი. *ნიკოლ ფაშინიანი-საქართველო გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, რაც აუცილებლად იმოქმედებს რეგიონის საერთო*

ატმოსფეროზე, საქართველოს ხელისუფლებას და ხალხს მივულოცე, რადგან დადებით მოვლენად მიმაჩნია - https://1tv.ge/news/nikol-fashiniani-saqartvelo-gakhda-evrokavshiris-kandidati-qveyana-rac-aucileblad-imoqmedebs-regionis-saerto-atmosferoze-saqartvelos-khelisuflebas-da-khalkhs-mivuloce-radgan-dadebit-movlenad-mima/

- ტაბულა. (29 თებერვალი, 2024). *სომხეთის პარლამენტის სპიკერი: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაზე უნდა დავფიქრდეთ.* https://tabula.ge/ge/news/714973-somkhetis-parlamentis-spikeri-evrokavshiris
- ტაბულა (23 თებერვალი, 2024). *სომხეთმა* ОДКБ*-ში მონაწილეობა გაყინა.* https://tabula.ge/ge/news/714678-pashiniani-somkhetma-odkb-shi-monacileoba-gaqina
- ტაბულა (9 მარტი, 2024). სომხეთში EU-ში გაწევრიანების იდეაც განიხილება - საგარეო საქმეთა მინისტრი - https://tabula.ge/ge/news/715320-somkhetshi-eu-shi-gacevrianebis-ideats
- ტაბულა (14 მარტი, 2024). ევროპარლამენტი EU-ს მოუწოდებს შესაძლო კანდიდატობის გზაზე სომხეთს მხარი დაუჭიროს - https://tabula.ge/ge/news/715515-evroparlamenti-eu-s-moucodebs-shesadzlo
- ჩიჩუა ნ. (5 აპრილი, 2024). ნეტგაზეთი. EU სომხეთს 270 მლნ ევროს გამოუყოფს - https://netgazeti.ge/news/716715/
- ჩიჩუა ნ. (12 ივნისი, 1924). «ОДКБ»-დან გავალთ. ჩვენ გადავწყვეტთ, როდის“ - ფაშინიანი - https://netgazeti.ge/news/726970/
- ჩაჩანიძე, თ. (2 აპრილი, 2024). რეზონანსი. *შეიქმნება თუარა პროდასავლური ტანდემი საქართველო-სომხეთი და რა რეაგირება ექნება მოსკოვს ერევნის აქტიურ სწრაფვაზე*

დასავლეთისკენ
https://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=2&id_artc=202020

- ცქიფურიშვილი, ნ. (6 ივლისი, 2024). სომხეთში სომხურ-ამერიკული ერთობლივი წვრთნები წელსაც ჩატარდება - https://netgazeti.ge/news/730512/